ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №29

24 აგვისტო 2023 წელი

12:00 საათი

ა/წ 24 აგვისტოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ლევან აბაშიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ლილე ლიპარტელიანი;
5. მამუკა გუგეშაშვილი;
6. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები თამარ გოგიტიძე და მარიამ ჩივაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა,

დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა საკითხის წარმომდგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს თამარ გოგიტიძეს.

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში.
,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში შესული ცვლილების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამებს დაემატა ახალი ქვეპროგრამა „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება“ (კოდი: 06 01 04). შესაბამისად, პროექტის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების წესებს ემატება „სახსრების ენდოპროთეზირების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, (შემდგომში - წესი), რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ (კოდი: 06 01 04) (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

წესში გაწერილია ზოგადი დებულებანი, ქვეპროგრამის მოსარგებლეების კრიტერიუმები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი და დაფინანსების მეთოდოლოგია, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, მიმწოდებელთან ანგარიშგება და ანაზღაურება, ქვეპროგრამის მიმდინარეობის შემოწმება და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ესაჭიროებათ წესით გათვალისწინებული ენდოპროთეზირება. გამონაკლისებს წარმოადგენენ ის პირები, რომლებიც „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი N1.3-ით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან ან ისეთი პირი, რომელსაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეეთავაზა ენდოპროთეზირების მომსახურება და უარს განაცხადებს მომსახურების მიღებაზე.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის მენჯ-ბარძაყის ან/და მუხლის სახსრის ენდოპროთეზირებას (დაზიანებული ან შეცვლილი სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით).

პროექტის მიხედვით, ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური. მომსახურების დაფინანსება განხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით, არაუმეტეს 6 000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, პაციენტის თანაგადახდა განისაზღვრება ფაქტიური ხარჯის გათვალისწინებით.

ქვეპროგრამაში ჩართვისათვის პირმა უნდა მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპაალიტეტის მერიას და წარადგინოს წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. მიმწოდებელი კი თავის მხრივ ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოუდგინოს შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თვის პირველიდან 11 რიცხვამდე, მომსახურების სრულად მიწოდების საანგარიშგებო თვის მომდევნო ორი თვის განმავლობაში. ანაზღაურების ეტაპზე, ქვეპროგრამის განმახორციელებელი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურში აგზავნის წერილს, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, შესაბამის სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე თანხის გადარიცხვის მოთხოვნით.

ამასთან, განმახორციელებელი პერიოდულად ამოწმებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას.

დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა მამუკა გუგეშაშვილმა იკითხა თუ რის მიხედვით მოხდა ბენეფიციარების რაოდენობის განსაზღვრა და რა სახით მოხდება ბენეფიციარების დაფინანსება, რაზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ ეტაპისთვის ბენეფიციარების რაოდენობა განისაზღვრა მომართვიანობის საფუძველზე, ამჟამად ბიუჯეტი გათვლილია 700 ბენეფიციარზე. ბენეფიციარი განაცხადით მიმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, წარუდგენს საჭირო დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც მომსახურების დაფინანსება განხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით, არაუმეტეს 6 000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით. ბენეფიციარი თავისუფალი იქნება ენდოპროთეზისა და კლინიკის არჩევაში.

აქვე, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ მომავალი წლისთვის ბენეფიციართა რაოდენობა მოიმატებს და ამისთვის მზად ვართ, მომართვიანობის მიხედვით მყისიერად მოხდება ბიუჯეტის ცვლილება და თანხების დამატება. იქიდან გამომდინარე, რომ საუბარია პროგრესირებად დაავადებაზე, საჭიროების შემთხვევაში პაციენტს წლის მანძილზე, განცხადების შეტანის საფუძველზე დაუფინანსდება მეორე სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით. აღნიშნული ოპერაცია მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ბენეფიციარების მდგომარეობას. ჩვენს თანამოქალაქეებს აღარ დასჭირდებათ ალტერნატიული გზების მოძიება, ეს ჩვენი გუნდის მუშაობის შედეგია. ყველას, ვინც ამ პროცესში იყო ჩართული, მინდა მადლობა გადავუხადო.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ დადგენილების პროექტს და მიეცა დადებითი რეკომენდაცია პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე